საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

26.01.12

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ზეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ირინე დარჩია - შპს - ევრაზიის რექტორის მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;
2. დავით ჩერქეზიშვილი - შპს - ევრაზიის პრორექტორი;
3. ნელი ბეჟანიშვილი - ა(ა)იპ - წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის წარმომადგენელი;
4. ნათელა მურადაშვილი - სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის დირექტორი;
5. მანანა ტარიელაშვილი - შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის დირექტორი;
6. ეკა ჩიხლაძე - შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
7. მარინე არაბული - შპს - ახალი ქართული გიმნაზიის დირექტორი;
8. ნინო ოქროჯანაშვილი - შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის დირექტორი;
9. მანანა ბაკურაძე - შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის დირექტორის მოადგილე;
10. ნუნუ ავაგუმაშვილი - შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის დირექტორი;
11. თამარ გელენიძე - შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის - დირექტორის მოადგილე;
12. გულნარა დევდარიანი - შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დირექტორი;
13. მარიამ ფირალიშვილი - შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი;
14. მამუკა გვაზავა - შპს - სკოლა ფენიქსის აღმასრულებელი დირექტორი;
15. იანა ტორჩინავა - შპს -აისის დირექტორი;
16. რევაზ გულარაშვილი - შპს -აისის დირექტორის მოადგილე;
17. ირინა ზედგინიძე - შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო პეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ევრაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
4. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
5. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
6. შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
7. შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
8. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
9. შპს - სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
10. შპს -აისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს ემსჯელა შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ნანა ჭიღლაძის განმარტებით შემოსული იყო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილ იქნა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში მომხდარიყო მოსწაველთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობის კორექტირება. თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგმლობა და კენჭისყრაზე დააყენა მისი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ,,შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევრაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
5. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
6. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
7. შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
8. შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
9. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
10. შპს - სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
11. შპს -აისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

1,,შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯი ითხოვდა საგანმანათლებლო დაწესებულეებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილების ცვლილებაში ცვლილების შეტანას და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობიდან პროფესიული სტუდენტის რაოდენობის განსაზღვრას 100-თ ნაცვლად 83-ისა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსაწავლეთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 263-ით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით

2. შპს - ევრაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგარმები და დაწესებულების მისია

მისიის განაცხადიდან გამომდინარე დაწესებულება თავის დანიშნულებად მიიჩნევს კვლევების წარმოებას, რაც დასტურდება ასევე კოლეჯის დებულების მე-2 მუხლითაც - „კოლეჯის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი განათლების - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება“ და აგრეთვე მე-13 მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეული - სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების განყოფილება, ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოს 12.12.2011 წლის #08/2011 დადგენილებით დამტკიცებული აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის დებულებით, განყოფილების საქმიანობის ფუნქციებში (მუხლები ს - შ) გაწერილია კოლეჯში წარმოებული სამეცნიერო კვლევების კოორდინირება და მონიტორინგი. ასევე სამეცნიერო კვლევების წარმოება ხაზგასმულია დაწესებულების ფაკულტეტების განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში. მისიის განაცხადში კოლეჯი აქცენტს აკეთებს ინტერნაციონალიზაციაზეც, რასაც დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დაწესებულების მისიის განაცხადი შესაბამისობაში არაა მის სტატუსთან.

საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 2011 წლის 12 დეკემბერს. კოლეჯის დებულების მიხედვით წარმომადგენლობითი საბჭო შედგება 5 წევრისაგან - რექტორი, პრორექტორი და სამი დეკანი. (მუხლი 6.1), წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი (მუხლი 8.6). კოლეჯის რექტორის ბრძანება დეკანების მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის თაობაზე გამოცემულია 2011 წლის 13 დეკემბერს (# 01-09/01), შესაბამისად, 12 დეკემბრის სხდომაზე საბჭოს ვერ დაესწრებოდა ვერც ერთი დეკანი, და საბჭოს სხდომა არ იქნებოდა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, ამდენად პროგრამების არაა დამტკიცებული დადგენილი წესით.

სამივე პროგრამაში დაფიქსირებულია შემდეგი სახის შენიშვნები:

პროგრამის საერთო მოცულობიდან 40 კრედიტი ეთმობა „ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ... სასწავლო კურსებს“ - კოლეჯში სამართლის

ფაკულტეტზე ხორციელდება ერთი პროგრამა, ამდენად გაურკვეველია რა იგულისხმება ამ ჩანაწერში. ასევე გაურკვეველია ჩანაწერი „ზ) ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა (სემესტრი): სწავლების პირველი სემესტრი.“

სწავლების ენა - მითითებულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან თანხმობის მიღების შემთხვევაში, სწავლა განხორციელდება ინგლისურ ენაზეც. თუმცა უცხო ენაზე სწავლებისათვის აუცილებელია უცხოენოვანი პროგრამისა და შესაბამისი რესურსის არსებობა, რაც ამჟამად კოლეჯს არა აქვს. დაწესებულების მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის კონკურსის პირობებით კონკურსანტისათვის განსაზღვრული არ იყო უცხო ენის (მით უფრო ინგლისურის) ცოდნის აუცილებლობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის დაკონკრეტებული რომელი უცხო ენა მოეთხოვებათ სტუდენტებს, თუმცაღა პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ინგლისური ენის სწავლებას, თანაც სილაბუსი არაა გათვალისწინებული დამწყებთათვის.

პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების კრიტერიუმში მითითებულია, რომ სტუდენტს ეცოდინება და გაცნობიერებული ექნება „...აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები; პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა, ოპერაციული სისტემების დანიშნულება, ოპერაციული სისტემა Windows XP-ში მუშაობის წესები, Microsoft Office-ის შემადგენლობაში შემავალი პროგრამების დანიშნულება, მათთან მუშაობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, ინტერნეტის შექმნის ისტორია და მუშაობის წესები, კომპიუტერული ვირუსებისაგან თავის დაცვის საშუალებები.“

იმავე პუნქტში წერია, რომ სტუდენტმა იცის ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე, რაც არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას პროგრამით მისაღწევი ინგლისურის ცოდნის დონეზე.

საკონტაქტო საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად არც ერთ სილაბუსში არაა გაწერილი, შესაბამისად სტუდენტისთვის გაურკვეველი იქნება რამდენი სალექციო ან სასემინარო/პრაქტიკული საათი აქვს სემესტრში.

სამართლის საბაკალავრო პოგრამის საერთო მოცულობიდან „95 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი მიმარრთულებით გაიღრმავოს ცოდნა (ანუ აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები): კერძო სამართლის, საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულებით; ამასთან პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს მისთვის საინტერესო რამდენიმე მიმართულების სხვადასხვა საგანს დაეუფლოს ერთდროულად...“, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში აღნიშნული 95 კრედიტის არჩევა სტუდენტს შეუძლია 110 კრედიტიდან, თანაც ზედმეტი 15 კრედიტი შევსებულია შემდეგი დისციპლინებით: რომის სამართლის საფუძვლები, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, აღნიშნული საგნები არის ზოგადი და ვერ გამოდგება სამართლის რომელიმე მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისათვის, შესაბამისად, სტუდენტი იძულებულია 95-ვე კრედიტი აიღოს სამართლის ოთხივე მიმართულებიდან, სპეციალიზაციის საგნები ვერ უზრუნველყოფს თითოეული მიმართულების მიხედვით სტუდენტისათვის ღრმა ცოდნის მიცემას, მაგალითად, საჯარო სამართლის მიმართულებით შეთავაზებულია მხოლოდ რამდენიმე საგანი. ამდენად, სტუდენტის არჩევანის თავისუფლება პირობითია.

პროგრამა ვერ გამოუმუშავებს სტუდენტს კომუნიკაციის უნარს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით, ვინაიდან მართალია ინგლისური ენა ისწავლება 6 სემესტრის მანძილზე, მაგრამ არის ისწავლება დარგობრივი ინგლისური.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაში პროგრამის სასწავლო გეგმასა და რამდენიმე სილაბუსს შორის არის აცდენა საათების განაწილებაში, მაგალითად „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „სახელშეკრულებო სამართალი“, „გაკოტრების სამართალი“ და სხვა. სამართლის პროგრამაში გათვალსწინებული სპეციალიზაციის საგნები ვერ უზრუნველყოფს თითოეული მიმართულების მიხედვით სტუდენტისათვის ღრმა ცოდნის მიცემას, მაგალითად საჯარო სამართლის მიმართულებით შეთავაზებულია მხოლოდ რამდენიმე საგანი.
ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში ფინანსების ძირითადი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აბსოლუტურად იდენტურია ფინანსების დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგებისა, რაც შეუძლებელია. ფინანსების დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა არ არის შედგენილი გამართულად, პროგრამა დაყოფილია სავალდებულო - 40 კრედიტი და არჩევით - 20 კრედიტი სასწავლო კურსებად, თუმცა სავალდებულო საგნების: ფინანსების საფუძვლები, საბანკო საქმე და საჯარო ფინანსები (ჯამში 25 კრედიტი) ასარჩევად სტუდენტს აუცილებლად ესაჭიროება არჩევითი სასწავლო კურსების - ეკონომიკის პრინციპების 1 და ფულის მიმოქცევა და კრედიტი შესწავლა

2. **მატერიალური რესურსი**

„ევრაზიის დამოუკიდებელი აკადემიური კოლეჯის“ დამფუძნებელია შპს „ევრაზია“, რომელიც თბილისში, შატილის ქუჩა №4-ში შპს „დუჩი“-სთან 2011 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული 6 წლიანი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 3032 კვ. მ ფართს, საიდანაც სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება 1 477.84 კვ. მ , ხოლო დამხმარედ 1 554.16 კვ. მ ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. საექსპერტო ვიზიტის დროს შენობაში არ იყო ცენტრალური გათბობა, ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა ცენტრალური გათბობის პროექტი და მისი დამონტაჟების თაობაზე შპს „ტექტორი გთ“–სთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე ანგარიშფაქტურები 3 ერთეულ ელექტროგამათბობელზე. საექსპერტო ვიზიტის დროს კოლეჯს არ მიეწოდებოდა ინტერნეტი, შპს „კავკასუს ონლაინთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან არ დგინდება რა ვადაში მოხდება ქსელის შეყვანა დაწესებულებაში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის გადამოწმების დროს ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა ზოგიერთი სახელმძღვანელო. მაგალითად, გუცენკო კ.(რედ) დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007, ნ.ვიდმანი; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბილისი 2005, ლ.იორჰენდი, წიქარიშვილი; ნაფიცმსაჯულთა სასამართლო, თბილისი 2007, ჟ.პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (თ.ნინიძის რედაქციით) თბილისი 1996წ; წიქარიშვილი კ. (თარგმანი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბილისი 2002 წ.;საერთაშორისო საზღვაო სამართალი, The Law of the Sea, 3rd Ed., R.R. Churchill & A.V. Lowe, 1999, საგადასახადო სამართალ ზ.როგავა, საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა, თბ.2009 წ., ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები, ნ. შავთვალაძე; CD ბუკლეტით, „მოუსმინეთ ქართულ დიალოგებს I”; გამომცემლობა „დობერა”, თბილისი, 2006., ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ფურთუხია ო., ციგროშვილი ზ., მანჯგალაძე ქ. ალბათობა და მათემატიკური სტატისტიკა. თსუ, თბილისი, 2009.,ფინანსური აღრიცხვა ACCA–ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წიგნი 2.5., 2003 წ და სხვა

3.ადამინური რესურსი

კოლეჯში აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობები გაწერილია კოლეჯის დებულების 21-ე მუხლში, რომლის თანახმად „ აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე.“ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი დაწესებულებას გამოცხადებული ქონდა 2011 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც მას ეწოდებოდა ევრაზიის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი, აქედან გამომდინარე ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი რეგულირდება ძველი წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებით, რომლებიც ევრაზიის დამოუკიდებელი აკადემიური კოლეჯის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 12 დეკემბრის #01-08/02 ბრძანების თანახმად ძალაში დარჩა. კონკურსის ჩატარების პირობები გაწერილია #01-08/01, 26.10.2011 ბრძანებაში, რომლის თანახმად „ევრაზიის დამოუკიდებელი სრულ ან ასოცირებულ პროფესორად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე. კოლეჯის ასისტენტ–პროფესორად 2 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი ან პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე.“კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა 2 სრული პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი. აღსანიშნავია, რომ ასისტენტ-პროფესორების პირად საქმეებში არ იდო მათი დოქტორის დიპლომი ან ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირები ირიცხებიან რომელიმე დაწესებულების დოქტორანტურაში, ხოლო ვინაიდან დაწესებულებას დებულებით დადგენილი არ ქონდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად კონკურსანტებისათვის დამატებითი პირობები, ასისტენტ-პროფესორები ვერ ჩაითვლებიან კოლეჯის აკადემიურ პერსონალად, თუკი მათ მიერ წარმოდგენილი არ იქნება ცნობები, რომ კონკურსის ჩატარების მომენტში ირიცხებოდნენ დოქტორანტურის სტუდენტებად ან აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი.გარდა ამისა, კოლეჯში სრული პროფესორის თანამდებობაზე არჩეული პირები: ზურაბ ძლიერიშვილი და ავთანდილ გაგნიძე ამავდროულად იკავებენ სრული პროფესორების თანამდებობებს ისეთ სასწავლო დაწესებულებებში, რომელთა სტატუსი არის უნივერსიტეტი, შესაბამისად დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მათი თანხმობის წერილები ავტორიზაციის მიზნებისათვის ევრაზიის დამოუკიდებელი აკადემიური კოლეჯისათვის მათი აკადემიურ პერსონალად დაფიქსირების შესახებ. ამდენად, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად ზემოთ აღნიშნული პირები ვერ ჩაითვლებიან კოლეჯის აკადემიურ პერსონალად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს კოლეჯის აკადემიურ პერსონალად დასტურდებოდა მხოლოდ 9 ასოცირებული პროფესორი, რაც წინააღმდეგობაშია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის გ.ა ქვეპუნქტთან. გარდა ამისა, კოლეჯის დებულების 24-ე მუხლის 3 პუნქტის თანახმად „პირი სამუშაოზე მიღებულად ითვლება შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტიდან“, ხოლო კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 13 დეკემბრის # 01-11/01, 01-11/02, 01-11/03 ბრძანებებით აკადემიურ პერსონალს შრომითი ხელშეკრულებები უნდა გაუფორმდეს 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის

სემესტრიდან (2012 წლის 1 მარტიდან), აქედან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ მოცემულ მომენტში კოლეჯს აკადემიური პერსონალი არა ყავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინე დარჩიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ შენიშვნას არ იზიარებდა. მისი განცხადებით, კოლეჯის ძირითადი ფუნქცია მართალია საბაკალავრო პროგრამების განხორციელება იყო, თუმცა, ეს არ ეწინააღმდეგებოდა იმ იდეას, რომ კოლეჯს დამატებით ეწარმოებინა სამეცნიერო კვლევები, რადგან კვლევითი კომპონენტი, შესაძლებელია, შედიოდეს საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ავტორიზაციის მაძიებელი არ ითხოვდა, კვლევითი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას. კოლეჯის მიზანი იყო საბაკალავრო პროგრამების განახორციელოს, რაც ხელს არ უშლიდა აკადემიურ პერსონალს, ეწარმოებინა სამეცნიერო კვლევები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოდიოდა დაწესებულების სტატუსთან.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის აღნიშნულ მოსაზრებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნაში საუბარია დაწესებულების სურვილზე აქტიურად აწარმოოს კვლევა, რაც კავშირში არ არის დაწესებულების სახესთან, რადგან დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგარმები. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, კვლევითი ელემენტი შემოდის მაგისტრატურის ეტაპიდან.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს გააჩნო "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართელოს კანონის შესაბამისი მუხლები, რომლებშიც განმარტებულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურები:

,,ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;"

,,მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის."

მომხსენებლის განცხადებით, რადგან კანონმდებლობა მიჯნავს დაწესებულების სტატუსებს, მისია უნდა იყოს კონკრეტული სტატუსის შესაბამისი. წარმოდგენილი შენიშვნა ინტერნაციონალიზაციაზე, შეეხება, არა მხოლოდ სწავლების ინტერნაციონალიზაციას, არამედ სამეცნიერო კვლევის ინტერნაციონალიზაციას, კოლეჯის მისიაში წერია, რომ ,,სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა და ინტერნაციონალიზაცია" წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის არსს. აკადემიური კვლევის ელემენტი შემოდის მაგისტრატურის დონეზე, შესაბამისად დაწესებულების მისია გათვლილი არ უნდა იყოს კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე, მითუმეტეს თუ ის მხოლოდ საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებს.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დეფინიცია დაწესებულების აკადემიურ პერსონალს არ უკრძალავს დამატებით განახორციელოს სამეცნირო - კვლევითი საქმიანობა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა დააზუსტა, დაწესებულება არჩეული სტატუსის მიუხედავად, ხომ არ გეგმავს განსხვავებული აკადემიური ხარისხის მინიჭებას და დასძინა, რომ

თუ დაწესებულება კვლევით კომპონენტს დამატებით იყენებს, ის არ უშლის მას ხელს განახორციელოს საბაკალავრო პროგრამები და ამით სტანდარტი არ ირღვევა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი არ აპირებენ კოლეჯის სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გაცდენას და სამეცნიერო კვლევები, მხოლოდ, როგორც დამატებითი საქმიანობა, ისე განიხილება.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განმარტა, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აკადემიური კოლეჯი ფიქრობს კვლევითი ელემენტების გაძლიერებაზე, რაც, მისი აზრით, სხვა დაწესებულებებმაც უნდა გაიზიარონ.

საბჭომ ერთხმად არ გაიზიარა დაწესებულების მისიასთან დაკავშირებული შენიშვნა.

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს 2011 წლის 12 დეკემბრისათვის სხვა პირები ხომ არ იყვნენ დეკანის მოვალეობის შემსრულებლებად დანიშნულნი, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ მიეღოთ აღნიშნული გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ჩერქეზიშვილმა, განმარტა, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით ევრაზიის სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანების მოვალეობის შემსრულებლები იყვნენ დანიშნულნი თანამდებობაზე და ისინი, იმავდროულად, შედიოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო დაემტკიცებინა საგანმანათლებლო პროგრამები. რადგანაც განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, ამ პირობებიდან გამომდინარე 13 დეკემბერს - იგივე პიროვნებები დაინიშნენ დეკანის მოვალეობის შემსრულებლებად. დავით ჩერქეზიშვილის განმარტებით, წარმომადგენლობითმა საბჭომ მოახდინა დაწესებულების რეორგანზიაცია, რის შემდგომადაც მოხდა მათი ხელახალი დანიშვნა თანამდებობებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს დამტკიცდა „ევრაზიის დამოუკიდებელი აკადემიური კოლეჯის“ დებულება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,ევრაზიის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის დებულება”. „ევრაზიის დამოუკიდებელი აკადემიური კოლეჯის“ დებულების 39 მუხლის თანახმად:

,,დადგენილი წესით რექტორის, პრორექტორისა და ფაკულტეტების დეკანების არჩევამდე შპს - „ევრაზიის“ დამფუძნებლები ნიშნავენ რექტორისა და პრორექტორის მოვალეობის შემსრულებლებს. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილია არჩევნებამდე დანიშნოს ფაკულტეტების დეკანების მოვალეობის შემსრულებლები.” აღნიშნული გულისხმობს, რომ ევრაზიის აკადემიური კოლეჯის რექტორის მოვალეობის შემსრულებლებს, უნდა დაენიშნათ, ფაკულტეტის დეკანების მოვალეობის შემსრულებლები. შესაბამისად, სანამ ისინი არ იქნებოდნენ დანიშნულნი თანამდებოაბზე, მანამდე წარმომადგენლობითი საბჭო არ იყო უფლებამოსილი დაემტკიცებინა პროგრამები. 2011 წლის 13 დეკემბერს დაინიშნენ ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლები, ხოლო პროგრამები დამტკიცებულ იქნა მანამდე, როდესაც წარმომადგენლობითი საბჭო არ იყო უფლებამოსილი.

დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია გარკვეული ტექნიკური შეცდომა იყო დღეებთან მიმართებით, რაც არსებითად არ ცვლიდა პროგრამების კანონიერად დამტკიცების საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული იურიდიულად არასწორადაა გაფორმებული, კერძოდ, ბრძანებით უნდა დასრულებულიყო რეორგანიზაცია და სხვა ბრძანება უნდა გაფორმებულიყო მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის შესახებ და მხოლოდ

შემდგომში შეეძლოთ მათ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს საბჭოს წევრებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა, დამატებით განმარტა, რომ საბჭო მაინც გააგრძელებდა შენიშვნების განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი უკვე დარღვეული იყო, კერძოდ პროგრამები არ იყო დამტკიცებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს რა იგულისხმებოდა ფრაზაში: პროგრამის საერთო მოცულობიდან 40 კრედიტი ეთმობა „ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ... სასწავლო კურსებს“.

დაწესებულების წარმომადგენლის, ირინე დარჩიას, განმარტებით, ავტორიზაციის ეტაპისათვის ფაკულტეტზე ერთი საგანმანათლებლო პროგრამა არსებობდა, თუმცა დაწესებულება მომავალში აპირებდა პროგრამების დამატებას, შესაბამისად, აღნიშნულ ჩანაწერში საუბარი იყო ზოგად საგნებზე, რომლებიც ასევე სავალდებულო იქნება მომავალში სხვა პროგარემბისათვისაც, რაც, მათი აზრით, არ არღვევდა ავტორიზაციის სტანდარტს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგულისხმება ზოგადი კომპეტენციის შემსწავლელი საგნები. იურიდიულ ფაკულტეტს არ აქვს მაინორი პროგრამა, თუმცა სხვა ფაკულტეტებზე ასეთი არსებობს. მათი განცხადებით, იურიდიულ ფაკულტეტისათვის აღნიშნული ჩანაწერი მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში 95 კრედიტი სავალდებულოდ იყო მითითებული, ხოლო 95 - არჩევითად. ამავდროულად, პროგრამა კრედიტების კომბინაციის საშუალებას აძლევდა სტუდენტს, თუმცა თავად, როგორც აღნიშნული დარგის სპეციალისტს, ცალსახად მიაჩნია, რომ პროგრამა საგნების სიმრავლის ნაკლებლობას განიცდის, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის დარგიდან პროგრამა ვერ სთავაზობს სტუდენტს საგნებს.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, პროგრამაში მითითებულია, რომ სამართლის რომელიმე დარგიდან, საჯარო, კერძო, სისხლი ან საერთაშორისო სამართლიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი დარგი. სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით კი, ამ დარგში სტუდენტს უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა, რასაც პროგრამა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნებით. მაგ. არჩევით საგნებში, საჯარო სამართლის მიმართულებით არ არის შეთავაზებული ადმინისტარციული სამართლის შესასწავლი კურსები, თუ არ ჩავთვლით საგადასახადო სამართალს. არჩევანის შესაძლებლობა გულისხმობს, სტუდენტის შესაძლებლობას, რეალურად აირჩიოს საგნები. წარმოდგენილ პროგრამაში შეთავაზებული 22 საგნიდან სტუდენტმა უნდა აირჩიო 19, რაც ფაქტობრივად სპობს არჩევანის შესაძლებლობას. მითუმეტეს, რომ არსებული საგნების კონცენტრაცია ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების ღრმა ცოდნის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის შინაარსის სიღრმისეულ განხილვაზე განაცხადა, რომ შესაძლოა, ასეთი მიდგომა სცილდებოდეს ავტორიზაციის საბჭოს კომპეtენციას და წარმოადგენდეს აკრედიტაცის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე მსჯელობას. მან აღნიშნა, რომ მას, როგორც პროფესიით იურისტს, ესმის საკითხის შინაარსი, თუმცა პროფესიით არაიურისტს გაუჭირდებოდა ამ სიღრმეზე საკითხის შესწავლა.

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ სამართალი რეგულირებადი პროფესიაა, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს დარგობრივი მახასიათებელი, სადაც გაწერილია დარგობრივი კომპეტენციები.

ექსპერტის, თეა შაყულაშვილის, განცხადებით, ზემოაღნიშნულს ითვალისწინებს დარგობრივი სტანდარტი და შესაბამისად, ის ავტორიზაციის ეტაპზეც რელევანტურია. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა დარგობრივი მახასიათებლით, და შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტს დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინე დარჩიამ, განმარტა, რომ საჯარო სამართლის მიმართულებით დაწესებულებას ჰქონდა როგორც სავალდეულო, ისე არჩევითი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფდა შესაბამისი ცოდნის უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებას. მათ შორის, საარჩევნო სამართალი, საგადასახადო სამართალი, ეკონომიკური საზღვრის დაცვის სამართლებრივი რეგულირება, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის პროფესიით იურისტი არ არის მიაჩნია, რომ არჩევითი საგნების რაოდენობა ძალიან მცირე იყო, რაც ვერ უზრუნველყოფდა შესაბამისი სტანდარტის დაკმაყოფილებას.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ასარჩევი საგნების მრავალრიცხოვნება დამოკიდებულია დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობაზე და მაგალითისათვის დაასახელა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი აზრით, რაც მეტად უზრუნველყოფილია დაწესებულება ფინანსურად, მას მეტად აქვს შესაძლებლობა შეთავაზოს სტუდენტს უფრო მეტი საგანი ასარჩევად და პირიქით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ წარმოადგენდა ხარვეზს სწავლების ენასთან დაკავშირებით გამოთქმული ხარვეზი, თუ პროგრამაში საუბარი იყო მომავალში სამინისტროს თანხმობის მიღების შემთხვევაში, კოლეჯის შესაძლებლობაზე, უცხო ენაზე განეხორციელებინა სწავლება.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა საჭიროებს შესაბამის უზრუნველყოფას ადამიანური და მატერიალური რესურსით, რისთვისაც საჭიროა მისი განხორციელების უფლების მოპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს ახალ პროგრამას. შესაბამისად, უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა მოხდეს პროგრამის დამატება კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზაციისას, პროგრამის აკრედიტაციისას ან/და თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას. საქართველოს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა, შეეხება, არა პროგრამის განხორციელებაზე თანხმობის მიღებას, არამედ უცხოენაზე სწავლების უფლების მინიჭებას, რის შემდეგადაც აუცილებელია, პროგრამის დამატება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ნათელია, რომ უცხოენოვანი პროგრამა დამოუკიდებელი პროგრამაა, თუმცა ავტორიზაციის ეტაპისათვის აღნიშნული პროგრამა ჯერ არ არსებობს. ცალსახაა, რომ ენაზე მითითება არა ქართულენოვან პროგრამაში უნდა იყოს გაკეთებული, არამედ, მაგალითად, სტრატეგიულ გეგმაში. მან აღნიშნა, რომ სახეზე იყო ხარვეზი, მაგრამ საბჭოს უნდა ემსჯელა ამ ხარვეზის არსებითობაზე.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნა, რომელიც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ზოგად მითითებას უცხო ენაზე, სავარაუდოდ, გულისხმობს ნებისმიერ უცხო ენას. აღნიშნული შენიშვნა საბჭომ მოხსნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, სთხოვა განმარტების გაკეთება საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნასთან დაკავშორებულ შენიშვნაზე.

ირინე დარჩიამ აღნიშნა, რომ კოლეჯი უზრენველყოფდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებას, შესაბამისად შეტანილი იქნა ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში სწავლის ეს შედეგები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება პროგრამაზე აუცილებელი იყო, რაც უნდა იყოს, გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად. შეუძლებელია თითო საგანმა უზრუნველყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული დარგის ფართო ცოდნის უზრუნველყოფა. შეუძლებელია, პროგრამაში გათვალისწინებული ერთი საგნით იმავე შედეგზე გავიდეს სტუდენტი, რა შედეგსაც 180-კრედიტიანი პროგრამა ითვალისწინებს.

ირინე დარჩიას განმარტებით, უცხოენის სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუ სტუდენტი მაღალ შეფასებებს მიიღებს ის გავა (B2) დონეზე და თუ შედარებით ნაკლებ შეფასებას - მაშინ (B1) დონეზე.

კახი ყურაშვილის განმარტებით, სწავლის შედეგი გულისხმობს საბოლოო შედეგს, რომელზეც უნდა გავიდეს სტუდენტი პროგრამის ათვისების შემდეგ. შესაბამისად პროგრამაში უნდა იყოს მითითებული უცხო ენის მინიმალური დონე, რაზეც ყველა სტუდენტი გავა. ამდენად, სწავლის შედეგი უნდა იყოს B1 ან B2-დან ერთ-ერთი, რადგან შედეგი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ გაიზიარა თავმჯდომარის მოსაზრება და აღნიშნა, რომ ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული მინიმალური დონე, თუ რა შედეგეზე უნდა გავიდეს კურსდამთავრებული. მისი აზრით, ეს არ არის სასერტიფიკატო კურსები, არამედ საბაკალავრო პროგრამა და მასზე განსხვავებული წესი ვრცელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს შენიშვნა მნიშვნელოვანი იყო. რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

კომუნიკაციის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა, ირინე დარჩიამ, აღნიშნა, რომ არის ორი გზა დარგობრივი უცხოენის სწავლების, ერთი პროფესიული უცხოენის კურსის შეთავაზება სტუდენტებისთვის და მეორე უცხოენაზე ლიტერატურისა და სასწავლო მასალის დამუშავების სხვადასხვა კურსის ფარგლებში.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ პროფესიული ინგლისურის ფლობა და კომუნიკაცია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული ინგლისური ენის კურსის სწავლება. იმისთვის, რომ რომელიმე საგანში სტუდენტმა შეძლოს უცხოენაზე ლიტერატურის გაცნობა საჭიროა შესაბამისი საბაზისო ცოდნის არსებობა, რასაც მხოლოდ ინგლისურის ზოგადი კურსით დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინე დარჩიამ, განმარტა, რომ ორ საგანში მართლაც იყო ტექნიკური შეცდომა დაშვებული. რაც შეეხება ,,სახელშეკრულებო სამართალს" აღნიშნულ საგანის სილაბუსსა და პროგრამას შორის საათები აცდენა არ იყო.

მომხსენებლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო რამდენიმე სილაბუსი და ტერმინი ,,და სხვა" რაც ნიშნავს, რომ სხვა საგნის სილაბუსებშიც იყოს ეს პრობლემა.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზს წარმოადგენდა; თუ რამდენ სილაბუსლში იყო პრობლემა, ეს არ ხსნიდა შენიშვნის მნიშვნელობას, საბჭოს აქვს პრაქტიკა, რომ მსგავი ხარვეზების შემთხვევაში დაწესებულებებს გაუუქმდათ ავტორიზაცია. მისი აზრით,

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პროგრამა და სილაბუსები სხვადასხვა პირების მიერ არის დაწერილი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ იყო საკონტაქტო საათების განაწილებული პროგრამაში და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სილაბუსების ნაცვლად, საგანმანათლებლო პროგრამაში ხომ არ იყო აღნიშნული გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენლის, ირინე დარჩიას, განმარტებით, არსად არ იყო გაწერილი, რომ საკონტაქტო საათების განაწილება თემატიკის მიხედვით უნდა იყოს სილაბუსში ასახული.

მომხსენებლის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების მიხედვით სილაბუსში საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის მიხედვით უნდა გაიწეროს. კერძოდ რეკომენდაციების მე-11 მუხლის მიხედვით:
1. სილაბუსში მიეთითება: ა) სასწავლო კურსის სახელწოდება; ბ) ავტორი; გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები; დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად.

მომხსენებლის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში კრედიტების გაანგარიშების წესში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. გაწერილია, რას უნდა მოიცავდეს სტუდენტის დატვირთვა, კერძოდ ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას; ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას. შესაბამისად, საათების განაწილება მხოლოდ საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას კი არ უნდა მოიცავდეს, არამედ, უნდა იყოს გათვალსიწინებული დატვირთვის თითოეული კომპონენტი.

კახი ყურაშვილმა მოითხოვა, რომელიმე სილაბუსის საბჭოს სხომაზე გამოქვეყნება. სილაბუსის შესწავლის შედეგად გამოჩნდა, რომ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართლაც არ იყო საკონტაქტო საათები გაწერილი თემატიკის მიხედვით და არ ჩანდა რამდენი საათი ეთმობოდა სამუშაო ჯგუფში მუშაობას და რამდენი - ლექციას. საბჭოს თავმჯდომარემ შეთავაზა საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხზე გაეგრძელებინათ მსჯელობა.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა ირინე დარჩიამ განცხადა, რომ დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტიდან 40 კრედიტი არის სავალდებულო საგნების ნუსხა, ხოლო 20 კრედიტს სტუდენტი თავად აირჩევს რამდენიმე ასარჩევი საგნიდან. რაც შეეხება ,,ფინანსების საფუძვლებს", ,,საბანკო საქმე და საჯარო ფინანსებს" აღნიშნულთან დაკავშირებით გაპარული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა. ირინე დარჩიამ აღნიშნა, რომ დამატებითი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგები იყო გაყოფილი ორ ნაწილად, სადაც გათვალისწინებული იყო სავალდებულო საგნების შესწავლის შედეგად მიღებული სწავლის შედეგები და არჩევითი საგნების გავლის შედეგად მიღებული ცოდნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამატებითი სპეციალობის სწავლის შედგებში გაწერილია დარგობრივი კომეპეტენციები ზოგადად, ისე როგორც ეს ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში. შესაბამისად, არ ჩანს, თუ რა შედეგებზე გავა სტუდენტი, ასარჩევ 20 კრედიტის დაგროვებას, სხვადასხვა სტუდენტი სხვადასხვა მიმართულების საგნების კომბინაციით. მომხსენებლის განცხადებით, საბაკალავრო პროგრამაში სწავლის რა შედეგებიცაა მითითებული, იგივე

შინაარსია გადატანილი, კერძოდ, არ ჩანს განსაზღვრული დამატებითი პროგრამის დროს რა საგნების არჩევის შემთხვევაში გავა მითითებულ შედეგზე სტუდენტი, ანუ კონკრეტულად რა საგნით, რომელი შედეგი მიიღწევა.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დააზუსტა, სავალდებულო საგნის გასავლელად საჭირო იყო თუ არა არჩევითი საგნის გავლა, ანუ რეალურად, წინაპირობას წარმოადგენდა თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სილაბუსებში დაშვების წინაპირობა არ უნდა ყოფილიყო და აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნია.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობებში გაპარული შეცდომა რამდენად ტექნიკური იყო, ეს საკითხი სამსჯელო იყო, რადგან მსგავსი ხარვეზების შემთხვევაში, დაწესებულებებს გაუქმებიათ ავტორიზაცია.

კახი ყურაშვილმა დააზუსტა, შეეძლო თუ არა სტუდენტს საგანთა კომბინაციის შედეგად, შედეგების ფორმირება მოეხდინა.

მომხსენებლის განმარტებით, თუ სტუდენტმა ერთი მიმართულებიდან აირჩია საგნები და დააგროვა 20 კრედიტი, მაშინ განსაზღვრულ შედეგზე ვერ გავა. სტუდენტს ექნება კონკრეტული ცოდნა და საერთო შედეგს ვერ მიაღწევს.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ყველა საგნის კომბინაციის გაკეთება და შედეგების გაწერა.

მომხსენებლის განმარტებით, ეს მართლაც შეუძლებელია 240 კრედიტის ფარგლებში, მაგრამ როდესაც მხოლოდ 20 კრედიტი, ანუ დაახლოებით 3 საგანი, ამ შემთხვევაში სტუდენტი შედეგზე ვერ გავა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ჩერქეზიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას უკვე ჰქონდა ფართი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, მან აღნიშნა, რომ ტექნიკური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხედხდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს რეესტრის ამონაწერის მომზადება.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგება. რაც ვერ იქნა წარმოდგენილი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს საჯარო რეესტრის ამონაწერი გადაემოწმებინათ საჯარო რეესტრის ვებ გვერდზე. ამონაწერით დადასტურდა ფართის ფლობა. შენიშვნა მოიხსნა.

დავით ჩერქეზიშვილის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გათბობის მონტაჟთან დაკავშირებით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 25 თებერვლამდე.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო ექსპერტთა ვიზიტის დროს, არც ამ ეტაპზე ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომ გათბობის მონტაჟი იყო დამთავრებული. შესაბამისად, საბჭო ამ შეთხვევაში შეზღუდული იყო და უნდა ეხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული მონაცემებით.

დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას ინტერნეტი მიეწოდებოდა.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო ვერ გადაამოწმებდა ინტერნეტის მიწოდების საკითხს, მითუმეტეს ავტორიზაციის დებულების მიხედვით, საბჭო არ ითვალისწინებს ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ შექმნილ დოკუმენტაციას.

დავით ჩერქეზიშვილის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ადგილზე ყველა წიგნი, რისი წარდგენაც, სამწუხაროდ, ვერ მოხეხდა გარკვეული მიზეზების გამო. მისი განცხადებით,

იყო გარკვეული გაუგებრობა ბიბლიოთეკასა და საწყობს შორის. დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ ექპერტთა ჯგუფს მან აღნიშნულის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რაც ჯგუფმა არ გაითვალისწინა.

ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ბიბლიოთეკაში წიგნების გადამოწმება მოხდა ორჯერ. პირველ დღეს 66 წიგნი ვერ იქნა აღმოჩენილი, ხოლო მეორე დღეს დაახლოებით 30-ამდე წიგნი მოიძებნა. თუმცა, დანარჩენი კვლავ ვერ იქნა მოწოდებული.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები ვერ დაელოდებოდენ დაწესებულებას როდის შეიძენდა ყველა წიგნს, მითუმეტეს, რომ საბჭოს სხდომაზეც ვერ იქნა შეძენის და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი.

კახი ყურაშვილის განმარტებით, ის ვერ დაეთანხმებოდა იმ შენიშვნას, რომელიც შეეხებოდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების ზეპირად გაფორმების შესაძლებლობასაც. გარდა ამისა, შრომით ხელშეკრულებას უთანაბრდება პირის განცხადება და დამსაქმებლის ბრძანება სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო.

მომხსენებლის განმარტებით, დაწესებულებას წესდებაში თავადვე ჰქონდა გათვალისწინებული წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ არ გაიზიარა აღნიშული არგუმენტი, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი შენიშვნა აკადემიური პერსონალის პროფესიული ნიშნით არჩევასთან დაკავშირებით. დაწესებულებას წესდებით უნდა განესაზღვრა პროფესიული ნიშნით ასარჩევი აკადემიური პერსონალისთვის შესაბამისი პირობები და მოთხოვნები. მხოლოდ წესდებაში მითითება იმისა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად მოხდებოდა პერსონალის არჩევა, არ იყო საკმარისი. შესაბამისად, თუ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ასისტენტ-პროფესორების დოქტორანტობის ან დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შენიშვნა არ მოიხსნებოდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგებლებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმეტაცია.

დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი სრული პროფესორი ავთანდილ გაგნიძე თანახმა იყო დარჩენილი იყო სრულ პროფესორად ევრაზიის კოლეჯში, რის დასამტკიცებლადაც საბჭოზე წარმოდგენილ იქნა შესაბამისი წერილობითი განაცხადი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს დოკუმენტი საბჭოსმ რომ გაითვალისწინოს, ან ნოტარიულად უნდა იყოს ხელმოწერა დამტკიცებული, ან პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მონაცემებში უნდა იყოს ასახული.

კახი ყურაშვილმა სთხოვა ცენტრის თანამშრომლებს პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში გადაემოწმენიათ ავთანდილ გაგნიძის შესახებ ინფორმაცია.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:35

სხდომა განახლდა 20:56

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნა, რომ ავთანდილ გაგნიძე სრულ პროფესორად ფიქსირდებოდა შპს - კავკასიის უნივერსიტეტში. მან განმარტა, რომ ავთანდილ გაგნიძეს უნდა მიემართა კავკასიის უნივერსიტეტისათვის და შემდგომ, ცენტრისთვის რეესტრში ინფორმაციის გასწორების

მიზნით. შესაბამისად, დაწესებულებას მხოლოდ 9 აკადემიური პერსონალი დაუდასტურდა, რაც აკადემიური კოლეჯისათვის დადგენილ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარჩა უამრავი ხარვეზი, რომლებზეც საბჭომ იმსჯელა და რასთან დაკავშირებითაც დაფიქსირდა საბჭოს წევრების პოზიცია. განსაკუთრებით ის ხარვეზები, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებს ტექნიკურ შეცდომად მიაჩნია. ზოგი ხარვეზი არ იქნა გათვალისწინებული საბჭოს მიერ, ხოლო ზოგი - ღიად დარჩა, მაგალითად, ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებული შენიშვნა. მოიხსნა ფართის ფლობასთან დაკავშირებული შენიშვნა, რადგან რეალურად, საბჭოს სხდომის ფორმატში გადამოწმება შესაძლებელი იყო, თუმცა რჩება საკითხები, რომლელთა გამოსწორება საბჭოს სხდომაზე ვერ დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა – შპს - ევრაზიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევრაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028849) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3.ა(ა)იპ - წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300-მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ,,წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ,,წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 241582685) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

4.სპს - ცოდნა ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, მისი განცხადებით, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია 2012 წლის 23 იანვარს. საბჭოს გადაწყვეტილებით, სპს - ცოდნა ნათელა მურადაშვილს მიეცა 14-დღიანი ხარვეზების გამოსწორების ვადა. სკოლამ აღნიშნული ვადის დარღვევით წარმოადგინა შესაბამისი მასალები. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სპს - ცოდნა ნათელა მურადაშვილმა გიმნაზიამ დადგენილი ვადის გადაცილებით წარმოადგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ვინაიდან ცენტრმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის საბჭო ამჯერად განიხილავდა სპს - ცოდნა ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხს. აღნიშნული გათვალისწინებულ იქნებოდა სხვადაწესებულებებთანაც მიმართებით.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მან არ იცოდა, თუ წერილობით უნდა წარმოედგინა დოკუმენტაცია ცენტრში და ელოდებოდა მონიტორინგის ჯგუფის ახალ ვიზიტს, რათა მომხდარიყო ხარვეზების გამოსწორების გადამოწმება. დირექტორის განმარტებით, მან შემთხვევით გაიგო სხვა სკოლის დირექტორისაგან, რომ წერილობით უნდა მოემართა ცენტრისათვის და წარმოედგინა ხარვეზების გამოსწორების შესახებ დოკუმენტაცია. მისი განცხადებით, აღნიშნული ინფორმაციის გაგებისთანავე მიაწოდა ცენტრს შესაბამისი მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს მოეხსენებინა მხოლოდ ის ხარვეზები, რომელთა გამოსწორება დოკუმენტურად არ დასტურდება.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 145 ინდივიდუალური მერხითა (ორადგილიანი მერხები ჩაითვალა ერთადგილიანად) და სკამით. სკოლის დირექციის განმარტებითა და დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ორადგილიანი მერხები გადაკეთდა ერთადგილიანად. აღნიშნულის დამადასტურებელი ფინანსური გადარიცხვის საბუთი სკოლამ ვერ წარმოადგინა.

კერძოდ, № 04/3-8 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-505) დაწესებულება მიუთითებს, რომ ფლობს 98 ახალ ინდივიდუალურ მერხს, 16 ორადგილიან მერხსა და 55

ინდივიდუალურ მერხს, რომელიც ორადგილიანი მერხებიდან გადაკეთდა. ჯამში 153 ინდ. მერხი და 16 ორადგილიანი (სულ 169).

წარმოდგენილია 2011 წლის 1 ივლისის ხელშეკრულება 150 მერხისა და სკამის დამზადებაზე. მისი მოქმედების ვადა ამოწურულია, ხოლო გადახდის ქვითრის მიხედვით, გადახდილია 800 ლარი, ხოლო ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოს საერთი ღირებულებას შეადგენდა 1500 ლარი. ამასთანავე, სამუშაოს შესრულება არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც თავად ხელშეკრულება განსაზღვრავდა.

წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები, რომლებითაც დგინდება, რომ შეძენილია მერხების გადასაკეთებლად საჭირო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დავით ჭეიშვილს, გადამოწმების შედეგად, შეიცვალა თუ არა სკოლაში მერხების რაოდენობა. დავით ჭეიშვილის განმარტებით, მეორე ვიზიტის დროს, სკოლაში ამ მხრივ ცვლილება არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ორივე შემთხვევაში, მას აქვს საკმარისი რაოდენობა მერხებისა, რომ უზრუნველყოს იმ რაოდენობის მოსწავლეების განთავსება, რა რაოდენობაც ახლა სკოლაში ირიცხება.

1.2 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო.

ცენტრში შემოსული კორეპონდენციის თანახმად, სკოლა ფლობს გენერატორს. ელექტროენერგიის ალტერნატიულ წყაროს, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

სკოლის დირექტორმა, საბჭოს სხდომას წარუდგინა დოკუმენტი გენერატორის დროებით სარგებლობაში ფლობის შესახებ.

1.3 დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდი, მხატვრული ლიტერატურით. ბიბლიოთეკას არა აქვს წიგნადი ფონდის კატალოგი, აქვს ინვენტარიზაციის წიგნი. წიგნები არ იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესების სრული დაცვით. ბიბლიოთეკა არ თბებოდა. წიგნები დალაგებული იყო ანბანური და თემატური ნიშნით და გამოყოფილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოები.

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ წიგნების უმრავლესობა ბიბლიოთეკაში დამუშავებულია ბიბლიოგრაფიული წესით. გაკეთებულია ანბანური და თემატური კატალოგი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, შრომატევადი საქმე იყო და შესაბამისად, ვერ მოესწრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დავით ჭეიშვილს, სწორად ჰქონდა თუ არა დაწყებული ბიბლიოთეკარს მუშაობა. აღნიშნული, დავით ჭეიშვილმა დაადასტურა.

1.4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებაში არის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წვდომას შენობაში. სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.წერილით სკოლა მიუთითებს, რომ მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები.

ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ დამონტაჟებულია უნიტაზი, კაბინა გაკეთებულია. არ არის საყრდენი მოაჯირები და პანდუსი, რომ მოხდეს სველ წერილში შესვლა.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, დარჩა მცირედი სამუშაოები ჩასატარებელი, რომელიც უახლოს მომავალში დასრულდებოდა.

საბჭოს წევრის, რუსუდან ტყეშელაშვილის, განცხადებით, სკოლას, ბევრი სამუშაო ჰქონდა ჩატარებული და მოაჯირების დამონტაჟება პრობლემად აღარ უნდა ჩათვლილიყო..

სკოლის დირექტორის განმარტებით, სველი წერტილების მოწყობა მეიჯარის ვალდებულება იყო. რადგან მან ეს ვალდებულება არ შეასრულა, ის, თავად გახდა იძულებული ასეთ მოკლე პერიოდში მოეწყო სველი წერტილები.

1.5 სკოლას, დირექტორის განცხადებით, ამჟამად ჰყავს 99 მოსწავლე და დოკუმენტაციის მიხედვით აქვს 7 (შვიდი) ცალი კომპიუტერი, რომელთაგან 4 განთავსებულია სკოლის კომპიუტერულ კლასში, ერთი - სამასწავლებლოში, ერთი - დირექტორის ოთახში, ერთი - სასწავლო ნაწილთან. აღნიშნული რაოდენობიდან ერთი არ იყო ინტერნეტში ჩართული. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 160-ით. ვიზიტის დროს არსებული კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობას.

დაწესებულების წერილში მითითებულია, რომ სკოლა ფლობს 8 კომპიუტერს, დასტურდება დოკუმენტაციით 6 კომპიუტერის ფლობა. 2 კომპიუტერის ფლობაზე წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართი, ხოლო თავად ხელკშეკრულება ან სასაქონლო ზედნადები არ იქნა წარმოდგენილი. ადგილზე გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლაში არის 7 კომპიუტერი (4 ლეპტოპი, 3 პერსონალური კომპიუტერი და ერთი მონიტორი).

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ხელშეკრულება ზემოაღნიშნული 2 კომპიუტერის შესყიდვის შესახებ.

1.6 სკოლას გააჩნია ერთი უსაფრთხოების კამერა, რომელიც დამონტაჟებულია დერეფანში. ვერ იქნა წარმოდგენილი კამერის ტექნიკური პასპორტი.

ცენტრში წარმოდგენილი ტექნიკური პასპორტისა და საგადახდო დავალების თანახმად, სკოლა ამჟამადაც ერთ კამერას ფლობს, რომელიც არ შეესაბამება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ გარე პერიმეტრის კონტროლისათვის სკოლა კამერას არ ფლობს.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მას მიაჩნდა, რომ მისთვის გარე პერიმეტრი იყო მე-5 სართული.

საბჭოს წევრების განცხადებით, მინისტრის ბრძანების შესაბამისი კამერები უნდა დამონტაჟდეს შენობიბს შესასვლელშიც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ეძებენ სხვადასხვა კომპანიების მეშვეობით შესაბამისი მახასიათებლის კამერებს და სადაც ხელმისაწვდომი ფასი იქნება და მას შეიძენდნენ. 1.7 სკოლაში დარღვეული იყო საკლასო ჟურნალის წარმოების წესები, კერძოდ,

მე-12 კლასის ჟურნალში არ იყო შეტანილი აბიტურის მეცადინეობები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები.

2012 წლის 25 იანვარს განხორციელებული ვიზიტის დროს მე-12 კლასის ჟურნალში არ იყო დაფიქსირებული გაცდენები (მაგალითად, ინგლისური ენა, მაშინ როდესაც იმავე დღის მათემატიკის გაკვეთილს 4 მოსწავლე არ ესწრებოდა). ექსპერტთა დასკვნაში მითითებული შენიშვნებზე, რომლებიც საკლასო ჟურნალების წარმოებას შეეხებოდა არ იყო გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებები.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ვერ მოესწრო პედაგოგიური საბჭოს ჩატარება. უახლოეს მომავალში იგეგმება ორგანიზება საბჭოსი, რომელზეც მოხდება შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და იგი, ასევე, დეტალურად განიხილავს მონიტორინგის შედეგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ გააფრთხილა სკოლის დირექტორი, რომ მაქსიმალურად მიექცია ყურადღება ჟურნალის წარმოების წესების დაცვისათვის.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, საჯარო სკოლებისაგან განსხვავებით, კერძო სკოლას უფლება აქვს აღდგენებიც ჩაატაროს და გაცდენები აანაზღაუროს.

1.8 სკოლაში ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. დირექტორისა და სასწავლო ნაწილის განმარტებით, მიმდინარეობდა საგამოცდო კვირა და ვიზიტის დღეს გამოცდა ჩატარდა რუსულსა და გერმანულში. წარმოდგენილი იქნა 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო კალენდარი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც საგამოცდო კვირის გამო საათები აკლდება საგნობრივ დატვირთვას.

ვიზიტის დროს აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორის განმარტებით, წინა საბჭოზეც აღინიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა კერძო სკოლას აძლევს უფლებას, რომ 6 დღიან სწავლებაზე გადავიდეს, ამასთან რადგან გამოცდები ჩატარდა, მეორე სემესტრში ანაზღაურება მოხდება შაბათი დღით, ექვსი კვირის განმავლობაში.

დავით კახნიაშვილის განმარტებით, კერძო სკოლას აქვს ამის უფლება, მთავარია ეს დოკუმენტურად იყოს ასახული.

შესვენება გამოცხადდა: 21:31

სხდომა განახლდა: 21:48

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს წევრები ერთ აზრზე ვერ ჩამოყალიბდნენ, რადგან მიუხედავად გამოსწორებული ხარვეზებისა, სკოლას მაინც დარჩა გამოსასწორებელი ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სპს - ცოდნა-ნათელა მურადაშვილისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 209440121) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, მან მხარი დაუჭირა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, რადგანაც მიიჩნია, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა გამოსწორებული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შესახებ წარმოება შეწყდა, მან მიმართა ცენტრს, რომ მოხდეს აღნიშნული სკოლის სტანდარტებთან შესაბამისობის კიდევ ერთხელ გადამოწმება გარკვეული პერიოდის შემდეგ.

5. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, მისი განცხადებით, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია 2012 წლის 17 იანვარს. საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლას მიეცა 10-დღიანი ხარვეზების გამოსწორების ვადა. სკოლამ აღნიშნული ვადის დარღვევით წარმოადგინა შესაბამისი მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს მოეხსენებინა მხოლოდ ის ხარვეზები, რომელთა გამოსწორება დოკუმენტურად არ დასტურდება.

1.1 შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ქ. თბილისში, გოგებაშვილის № 26-ში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ჰქონდა 145.90 კვ. მ. ფართი.

სკოლას კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უდასტურდებოდა გოგებაშვილის № 21/55 -ში მდებარე ფართით (65 კვ.მ.) სარგებლობის უფლება, ვინაიდან ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამავე მიზეზით არ დადასტურდა ქ. დუშეთში, სტალინის ქ. № 27-ში საკრებულოს ადმინისტრაციის შენობის მეორე სართულზე მდებარე ფართით (101.34 კვ.მ.) სარგებლობის უფლებაც.

2012 წლის 17 იანვრის №03-351 კორესპონდენციით ირკვევა, რომ დაწესებულება გადავიდა ახალ მისამართზე ქ. თბილისში ქუჩიშვილის ქ. 4-ში, შესაბამისად წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება ქ. თბილისში ქუჩიშვილის ქ. 4-ში მდებარე 330 კვ.მ. ფართითა და ქ. დუშეთში 118,36 კვ.მ.-ით სკოლის სარგებლობის უფლება.

2012 წლის 25 იანვარს განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი ქ. თბილისში ქუჩიშვილის ქ. 4-ში მდებარე ფართზე. ადგილზე გადამოწმების შედეგად, დადგინდა რომ მოცემულ მისამართზე არსებული შენობის ფართია 454 კვ.მ. ხოლო სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული - 330 კვ.მ.. ამასთან, სკოლას არ გააჩნია მის სარგებლობაში არსებული ფართის

ნახაზი, შესაბამისად, ვერ დგინდა თუ შენობის რომელ ნაწილზეა დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულება. თავად ხელშეკრულების თანახმად, ყოველ დღე შუადღის ოთხის ნახევრიდან სკოლა ვალდებულია ფართი სრულად დაუთმოს ქვემეიჯარეს.

1.2 სკოლას ავტორიზაციის მიღების შედეგად განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა - 80 მოსწავლით, თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა 83 მოსწავლე;

1.3 სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი.

შენიშვნა დაფიქსირდა ასევე ქუჩიშვილსი ქ. №4-ში მდებარე შენობის გადამოწმების შედეგად.

1.4 სკოლას არ გააჩნია ლაბორატორია. 2011 წლის 06 სექტემბერს სკოლას გაფორმებული აქვს №გეო-031 ხელშეკრულება შპს - „ჯეო დეკორთან“, თუმცა ლაბორატორია არ არის მიწოდებული და სკოლას გადახდილი აქვს მხოლოდ 1000 (ათასი) ლარი;

ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დუშეთში არსებულ ფართზე არ არის ლაბორატორია.

ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ახალი შენობა უზრუნველყოფილია გათბობის საშუალებით.

1.5 ბიბლიოთეკის საძიებო სისტემა არის თემატური, წიგნები არ არის დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით;

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში არ არის კატალოგი, ნაწილი წიგნები დამუშავებულია ბიბლიოგრაფიულად, ხოლო ნაწილი დამუშავების პროცესშია

1.6 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;

ვიზიტის დროს იგივე შენიშვნა დაფიქსირდა ქუჩიშვილის ქუჩაზე არსებულ ფართზე.

1.7 სკოლას აქვს 1 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში. სკოლას არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი.

გადამოწმების შედეგად განმეორებით დაფიქსირდა იგივე შენიშვნა.

1.8 სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი, თუმცა იგი არ არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. სკოლას არ ჰყავს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი;

ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ახალ შენობაში ცელკე აქვს მოწყობილი ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტაბით.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა შენიშვნა ევაკუაციის გეგმასთან დაკავშირებით. სკოლას არ გააჩნია ევაკუაციის გეგმები, შენობაში გამოკრულია მიმართულების მაჩვენებელი ისრები.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლის ორი ოთახი ასრულდებდა სპორტული დარბაზის ფუნქციას, რაც მისი მოსაზრებით, არ იყო მიზანშეწონილი. ავტორიზაციის სტანდარტი ეხებოდა სწორედ სპორტდარბაზს და არა საკლასო ოთახებს. დავით ჭეიშვილის

მოსაზრებით სპორტული დარბაზი უნდა იყოს მაღალჭერიანი და მისი ფართი სულ მცირე - 35 კვ.მ.-ზე მეტი.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ანიშნულ ფართში ისწავლებოდა სპორტული ტანვარჯიში. ავტორიზაციის ექსპერტის დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ გარდა სპორტული ლეიბებისა, მოცემულ ფართში არ იყო სპორტული ტანვარჯიშისთვის საჭირო სხვა არანაირი სპორტული ინვენტარი.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არარსებობისას როგორ ისწავლებოდა ქ. დუშეთში საბუნებისმეტყველო საგნები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ კვირაში ერთხელ ქ. დუშეთიდან ხდებოდა მოსწავლეების ტრანსპორტირება ქ. თბილისში, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა მიეღოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ვინაიდან მიმდინარეობდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავება, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, არ იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

ავტორიზაციის ექპერტმა დავით ჭეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას სსსმ მოსწავლისთვის პანდუსი დამონტაჟებული ჰქონდა მხოლოდ შენობის პირველ სართულზე, სადაც განთავსებული იყო მხოლოდ რესურს ოთახი, საინფორმაციო და სასადილო. ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის მე-3 სართულზე, სადაც პანდუსები დამონტაჟებული არ იყო.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭებით შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიან ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას მიეცა შესაძლებლობა განეხორციელებინა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა. 2012 წლის 5 იანვრის სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ სკოლას ხარვეზების გამოსწორებისთვის მისცა დამატებითი ვადა, თუმცა დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ხარვეზები არ გამოასწორა.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლა მაქსიმალურად შეეცადა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებას.

კახი ყურაშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ იყო ის, რომ სკოლის მოსწავლეებს დუშეთის რაიონიდან ქ. თბილისში უნდა ევლოთ ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. აღნიშნულ მოსაზრება გაიზიარა დაწესებულების დირექტორმაც. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ კი სკოლა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ ასწრებდა ხარვეზების აღმოფხვრას, მაშინ მას უნდა მოეთხოვა დამატებითი ვადა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას საკუთარი ვებგვერდი. სკოლის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ სკოლას საკუთარი ვებგვერდი არ ჰქონდა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ერთ კვირაში სკოლის ვებგვერდი იქნებოდა მზად.

რაც შეეხება სსსმ მოსწავლეს იგი შევიდოდა შენობის მხოლოდ პირველ სართულზე. შესაბამისად, სსსმ მოსწავლე შენობის ზედა სართულებზე გადაადგილებას ვერ შესძლებდა. ავტორიზაციის საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, თუ კი სსსმ მოსწავლე ვერ

მოახერხებდა შენობის მე-3 სართულზე განთავსებულ ბიბლიოთეკასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში თავისუფლად შეღწევას, ავტორიზაციის სტანდარტი არ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიან ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 203839686) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

6. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დარჩენილ შენიშვნებზე.მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით შპს - ახალ ქართულ გიმნაზიას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვრა 15 დღიანი ვადა. დაწესებულებამ ცენტრში დოკუმენტაცია წარმოადგინა ვადის დაგვიანებით, კერძოდ 2012 წლის 23 იანვარს.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 2012 წლის 23 იანვრის №03-501 კოპრესპონდენციით დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და ინვენტარიზაციის ოქმი, რომლის მიხედვით სკოლაში არსებობს 44 ინდივიდუალური და 61 ორადგილიანი მერხი (საერთო ჯამში - 105 მერხი).

1.2 გიმნაზიაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა 7 კომპიუტერი, ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში. წარმოდგენილი კორესპონდენციის თანახმად, სკოლას შეძენილი აქვს 3 ახალი კომპიუტერი, რომლითაც ჩანაცვლდა მოძველებული 2 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი. აქვე წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები რომლის მიხედვით სკოლას საკუთრებაში აქვს 16 კომპიუტერი.

1.3 სკოლას გააჩნია უსაფრთხოების კამერები, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი კამერების ტექნიკური მონაცემების ამსახველი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა მათი სტანდარტთთან შესაბამისობის დადგენა.

წარმოდგენილი კორესპონდენციას თან ახლავს, შიდა პერიმეტრისათვის 7 კამერის შესყიდვის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები, ასევე გარე პერიმეტრისათვის 2012 წლის 13 იანვარს 2 კამერის შესყიდვის დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადები, გადახდის ქვითარი), თუმცა არ არის წარმოდგენილი კამერის ტექნიკური მონაცემები, არსებული დოკუმენტაციით დგინდება მხოლოდ, რომ ხელშეკრულების საგანია „IP კამერა 3 მეგაპიქსელიანი“. ადგილზე დათვალიერების შედეგად, ასევე ვერ მოხდა ტექნიკური მონაცემების შესაბამისობის დადგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ახალი ქართული გიმნაზიის დირექტორის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინვენტარიზაციისა და შესყიდვის აქტებით დაწესებულებას მართლზომიერ მფლობელობაში უდასტურდება 164 მერხი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ვისგან შეისყიდა სკოლამ უსაფრთხოების კამერები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უსაფრთხოების კამერები მათ შეიძინეს შპს - ,,სერვის 1"-სგან. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერების ტექნიკური მახასიათებლების შემცველი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უსაფრთხოების კამერები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი მერხი ჰქონდა სკოლას. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ მიერ მოხდა შენობის ინვერნტართან ერთად შესყიდვა. შესაბამისად, შპს - ახალ ქართულ გიმნაზიას ჯამში ჰქონდა 164 მერხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი ქართული გიმნაზიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ახალი ქართული გიმნაზიისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 200036497) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დარჩენილ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 2012 წლის 10 იანვრის №03-137 კორესპონდენციით დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება სკოლის სარგებლობაში ორი ჩოგბურთის მაგიდის არესებობა. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დარბაზში, მისი ფართის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ორის ნაცვლად, განთავსებული იყოს ერთი ჩოგბურთის მაგიდა.

1.2 დაწესებულებას აქვს სამი სველი წერტილი 162 მოსწავლეზე შესაბამისად, სანიტარული ნორმების დაცვის კუთხით მიზანშეწონილია სველი წერტილების რაოდენობის გაზრდა;

1.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება ორი ვიდეოკამერის შეძენის თაობაზე, რომელთა ღირებულება შეადგენს 2400 ლარს, ხოლო სკოლის მიერ გადახდილია 500 ლარი. ადგილზე გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ შიდა პერიმეტრზე კამერები არ არის დამონტაჟებული. დაწესებულების განმარტებით, 25 აინვარს უნდა მოხდეს კამერების დამონტაჟება, ხოლო ამ ფაქტის ამსახველი ფოტომასალის წარმოდგენა მოხდება საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ 1.1 და 1.2 პუნქტები არ წარმოადგენდა შენიშვნებს და მათ ჰქონდათ სარეკომენდეციო ხასიათი, რაც შეეხება 1.3 შენიშვნას, თავჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს აღნიშნულ შეფასებებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კამერები სკოლაში უკვე დამონტაჟებული იყო და წარმოადგინა სხდომაზე როგორც ფოტომასალა, ისე გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, რომ აღნიშნული მასალა დართვოდა სხდომის ოქმს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა - გიმნაზია ,,პირველის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა-გიმნაზია პირველისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 243571639) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დარჩენილ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ადგილზე გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ სკოლას არ გააჩნდა პანდუსები, თუმცა დირექტორის განმარტებით იმავე დღეს უნდა მომხდარიყო პანდუსის დამონტაჟება, ხოლო ამ ფაქტის დამდასტურებელი ფოტომასალის წარმოდგენა მოხდება საბჭოს სხდომაზე. სკოლას ასევე არ გააჩნია სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი, დამონტაჟებულია სახელური, თუმცა ექსპერტის განმარტებით, შესასვლელი არის ვიწრო.

1.2 ვიზიტის დროს მოხდა შერჩევითი წესით ჟურნალის გადამოწმება, რის შედეგადაც დადგინდა რომ დარღვეულია ჟურნალის წარმოების წესი, კერძოდ, ჟურნალის ბოლოს არ არის დაჯამებული გაცდენები და შეფასებები.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექპერტს, იყო თუ არა დამონტაჟებული სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილ სველ წერტილში სახელური და პანდუსი.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა, დაადასტურა, რომ სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა, როგორც სახელური, ისე პანდუსი.

საბჭომ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გაეთვალისწინებინა 1.1 შენიშვნა და ეზრუნა შესასვლელი კარის გაფართოებაზე.

რაც შეეხება, 1.2 შენიშვნას, საბჭოს განმარტებით, რომ არ იყო მიზანშეწონილი ზეპირ მოსმენაზე საბჭოს ემსჯელა იმაზე, თუ ყოველდღიურად როგორ აწარმოებს რომელიმე მასწავლებელი ჟურნალს. საბჭომ აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სკოლის შიდა მენეჯმენტის საკითხს და დაწესებულებას უნდა ჰყავდეს გამოყოფილი კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადაამოწმებს მასწავლებელთა მიერ ჟურნალის წარმოების წესების დაცვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ფუნქცია შეთავსებული აქვს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ნუნუ ავაგუმაშვილისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 200011012) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მიერ 2012 წლის 13 იანვარს ცენტრში წარმოდგენილი №03-289 კორესპონდენცია, რომლითაც დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლისათვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 209475904) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

10. შპს - სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დარჩენილ შენიშვნებზე.

1.1 ვიზიტის დროს სკოლაში დაფიქსირდა 5 კომპიუტერი, რომელთაგან ერთი არ არის ჩართული ინტერნეტში, ხოლო დანარჩენი 4-იდან, ერთი ლეპტოპი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სამი კომპიუტერი კი ადმინისტრაციის ოთახებში. სკოლას არ გააჩნია კომპიუტერული ოთახი, რომლიც მოსწავლეებისათვის იქნება განკუთვნილი.

1.2 დაწესებულებას შიდა პერიმეტრზე არ აქვს დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერა. გარე პერიმეტრის გაკონტროლების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შ.პ.ს. „აი-ეს-ეი სერვის“-ისგან შეძენილი აქვს ერთი კამერა, რომლის პარამეტრები შეესაბამება სტანდარს, თუმცა კამერა ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო შეერთებული მონიტორზე, დაწესებულების განმარტებით იგი მიერთებული იყო ჩამწერ მოწყობილობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმად სკოლას შეძენილი აქვს „აი-ეს-ეი სერვის“-ისგან ერთი გარე და 2 შიდა პერიმეტრის კამერა. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 2 კამერა, ორივე მათგანი მიერთებულია ტელევიზორის მონიტორზე. რაც შეეხება გარე პერიმეტრზე განთავსებულ კამერას, იგი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს და არ არის მიერთებული მონიტორზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში არის 17 მოსწავლე და შესაბამისად, მოთხოვნა 20 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერის ფლობის აუცილებლობა დაკმაყოფილებულია.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და ელოდებიან მანდატურის სკოლაში შემოსვლას, რომლის კომპიუტერზეც მიერთდებოდა კამერების ჩანაწერების ასახვა. სკოლას აქვს გამოსახულების ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც მუშაობს, თუმცა, ეს აპარატურა არ იყო მიერთებული მონიტოზე. დირექტორის განცხადებით, სკოლაში მანდატურის სამსახურის ამოქმედებისთანავე, ეს ხარვეზი ავტომატურად გამოსწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა - ფენიქსისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 205178010) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

11.შპს - „აისის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შპს - აისის მიერ 2012 წლის 13 იანვარს ცენტრში წარმოდგენილი №03-266 კორესპონდენცია, რომლითაც დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - "აისის" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "აისის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საერო სკოლა აისისათვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204960578) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:50 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი